



საჯარო სამართლის იურიდიული პირის

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო–სამრეწველო
პალატის“

წ ე ს დ ე ბ ა

ქ. ბათუმი – 2012 წ.

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის სტატუსი

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის (შემდგომში – „პალატა“) საქმიანობის სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ საფუძვლებს, პრინციპებს და მის ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმას განსაზღვრავს „საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის შესახებ“ საქართველოს კანონი და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი.
2. პალატა არის წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის კორპორაცია, რომელიც ფუძნდება კანონმდებლობით დადგენილი წესით. პალატა აერთიანებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ მეწარმე სუბიექტებს და მათ გაერთიანებებს.
3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატა არის საქართველოში სავაჭრო-სამრეწველო პალატის ერთიან სისტემის შემადგენელი ნაწილი.
4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატა წარმოადგენს 2006 წლის 25 მარტის საერთო კრების მიერ დაფუძნებულ „აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატის“ სამართალმემკვიდრეს.
5. პალატას აქვს ემბლემა და ბეჭედი, საბანკო ანგარიშები (მათ შორის სავალუტო ანგარიში) და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.
6. პალატის ადგილსამყოფელია ქ.ბათუმი.

მუხლი 2. მიზნები და ფუნქციები

1. პალატის მიზნები და ფუნქციები განსაზღვრულია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-3 მუხლში.
2. ამ წესდებით შეიძლება განისაზღვროს პალატის დამატებითი ფუნქციები, რაც შესაბამისობაში უნდა იყოს მოქმედ კანონმდებლობასთან.

თავი II. პალატის წევრობა. საწევრო შენატანი

მუხლი 3. წევრობა

1. მეწარმე სუბიექტები და მათი გაერთიანებები ნებაყოფლობით რეგისტრირდებიან პალატის წევრებად, მათი კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრაციის შემდეგ წერილობითი განცხადების საფუძველზე.
2. წერილობითი განცხადება შეტანილი უნდა იქნეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატაში, როგორც მატერიალური ისე ელექტრონული ფორმით. განაცხადის გარდა პალატაში გაწევრიანების მსურველის მიერ დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა განისაზღვრება პალატის შიდა აქტით.

3. მსურველი აჭარის ავონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის წევრი ხდება საწევრო შენატანის გადახდისა და პალატაში შესაბამისი დოკუმენტების წარდგენის დღიდან. წარსადგენად დოკუმენტებს განსაზღვრავს პალატის საბჭო.
4. ყოველ წევრს უფლება აქვს გავიდეს პალატის წევრობიდან. პალატის წევრი, წევრობიდან გასულად ითვლება, თუ:
 - ა) შემოიტანა განცხადება პალატის წევრობიდან გასვლის შესახებ;
 - ბ) კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელდა მისი ლიკვიდაცია.

მუხლი 4. საწევრო შენატანი

1. პალატის წევრობა ავტომატურად არ წარმოშობს მეწარმე სუბიექტებისა და მათი გაერთიანებებისათვის სავალდებულო საწევრო შენატანის გადახდის ვალდებულებას.
2. საწევრო შენატანის ოდენობას განსაზღვრავს პალატის საბჭო საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატასთან შეთანხმებით.
3. მომსახურების ტარიფები განისაზღვრება პალატის შიდა აქტით.

თავი III. პალატის სტრუქტურა და მართვა

მუხლი 5. პალატის სტრუქტურა

პალატის სტრუქტურა და თანამშრომელთა უფლებამოსილებათა განაწილების წესი მტკიცდება პალატის თავმჯდომარის მიერ.

მუხლი 6. პალატის მართვის ორგანოები

1. პალატის მართვის ორგანოებია:
 - ა) საერთო კრება;
 - ბ) პალატის საბჭო;
 - გ) პალატის თავმჯდომარე.

მუხლი 7. საერთო კრება, დელეგატების არჩევა და კრების მოწვევის წესი

1. პალატის მართვის უმაღლესი ორგანოა პალატის წევრთა საერთო კრება.
2. საერთო კრება მოიწვევა წელიწადში ერთხელ მაინც.
3. პალატის საერთო კრება შედგება დელეგატებისაგან, რომლებიც აირჩევიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თვითმართველი ერთეულებიდან. პალატის საერთო კრება შედგება თითოეული რაიონიდან და თვითმართველი ქალაქიდან წარმოდგენილი დელეგატებისაგან.
დელეგატების რაოდენობა განისაზღვრება შემდეგნაირად:

- ბათუმი - 11 დელეგატი;
- ქობულეთი - 4 დელეგატი;
- ხელვაჩაური - 4 დელეგატი;

- ხულო - 2 დელეგატი;
 - შუახევი - 2 დელეგატი;
 - ქედა - 2 დელეგატი;
4. დელეგატად არჩეულად ჩაითვლება ის პიროვნება, რომელიც პირველი წარმოადგენს 5 მეწარმე სუბიექტის ხელმოწერას ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.
 5. საერთო კრების დელეგატები აირჩევიან 4 წლის ვადით. მომდევნო ვადით დელეგატის არჩევა ხორციელდება ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული წესით.
 6. დელეგატს უფლებამოსილება უწყდება:
 - თავისი ინიციატივით;
 - თუ არ გამოცხადდა საერთო კრებაზე ზედიზედ 3-ჯერ;
 - სისტემატურად არღვევს ამ წესდების ნორმებს;
 7. საერთო კრების თითოეულ დელეგატს გააჩნია ერთი ხმის უფლება;
 8. საერთო კრების მუშაობაში დელეგატები მონაწილეობენ პირადად.
 9. დელეგატს უფლება აქვს თავისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გადასცეს სხვა დელეგატს, რომელშიც უნდა აისახოს საერთო კრებაზე პირადი დაუსწრებლობის მიზეზი.
 10. მორიგი საერთო კრების მოწვევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პალატის საბჭო ან პალატის თავმჯდომარე. გადაწყვეტილებაში აღინიშნება კრების ჩატარების თარიღი, ადგილი, დრო და დღის წესრიგი. გადაწყვეტილება საერთო კრების მოწვევის შესახებ მიღებული უნდა იქნას 15 დღით ადრე მის ჩატარებამდე.
 11. გადაწყვეტილება საერთო კრების ჩატარების შესახებ ეგზავნება დელეგატებს.
 12. რიგგარეშე კრება მოიწვევა:
 - პალატის საბჭოს გადაწყვეტილებით;
 - პალატის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით;
 - ამ წესდებით დადგენილ სხვა შემთხვევაში.
 13. პალატის საბჭოს თავმჯდომარე ვალდებულია რიგგარეშე კრების მოწვევის მოთხოვნის მიღებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში დანიშნოს რიგგარეშე კრების თარიღი. რიგგარეშე კრება უნდა ჩატარდეს მოთხოვნის მიღებიდან 15 კალენდარულ დღეში. ამასთანავე პალატის საბჭოს თავმჯდომარე ვალდებულია კრების დღის წესრიგში შეიყვანოს ის საკითხები, რომლის განხილვასაც ითხოვს რიგგარეშე კრების მოწვევის ინიციატორი.
 14. საერთო კრება უფლებაუნარიანია, თუ მას ესწრება დელეგატთა ნახევარზე მეტი.
 15. კრებაზე გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით.

მუხლი 8. საერთო კრების კომპეტენცია

1. საერთო კრება:
 - ამტკიცებს პალატის წესდებას და ცვლილებები შეაქვს მასში;
 - ირჩევს პალატის თავმჯდომარეს, ღია პირდაპირი კენჭისყრით, 4 წლის ვადით, საერთო კრებაზე დამსწრე დელეგატების უმრავლესობით

- ისმენს და ამტკიცებს პალატის საბჭოს ანგარიშს თავისი საქმიანობის შესახებ;
 - განიხილავს სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებულ წინადადებებს და საკითხებს.
 - განიხილავს სხვა საკითხებს მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად.
2. საერთო კრებას თავმჯდომარეობს პალატის თავმჯდომარე ან თავმჯდომარის დავალებით მისი ერთ-ერთი მოადგილე.

მუხლი 9. პალატის საბჭო

1. პალატის საბჭო არის პალატის პოლიტიკის განმსაზღვრელი ძირითადი ორგანო, რომელიც განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებებს პალატის ძირითად პრიორიტეტებზე, მიზნებზე და ამოცანებზე.
2. პალატის საბჭო შედგება სხვადასხვა მეწარმე სუბიექტების გაერთიანებების (ასოციაციების) და თავმჯდომარისგან. საბჭოს წევრთა რაოდენობა არ უნდა იყოს 5-ზე ნაკლები.
3. დაინტერესებული მეწარმე სუბიექტების გაერთიანების მოთხოვნის ან სხვა კონკრეტული ეკონომიკური სფეროს ხელშეწყობისა და პრობლემატური საკითხების გადაწყვეტის მიზნით პალატის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას პალატის საბჭოში ახალი წევრის გაწევრიანებაზე.
4. პალატის საბჭოს სხდომა შეიძლება გაიმართოს სამ თვეში ერთხელ, მაგრამ არანაკლებ წელიწადში ორჯერ.
5. ამ წესდების გათვალისწინებული პალატის საბჭოს კომპეტენციაში შემავალი საკითხების გადაწყვეტის მიზნით შეიძლება გაიმართოს პალატის საბჭოს რიგგარეშე სხდომა.
6. პალატის საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევა შეუძლია პალატის საბჭოს ნებისმიერ წევრს.
7. პალატის საბჭო უფლებამოსილია თუ მას ესწრება პალატის საბჭოს წევრთა საერთო შემადგენლობის ნახევარზე მეტი. პალატის საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უბრალო უმრავლესობით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პალატის საბჭო ასრულებს საერთო კრების ფუნქციას, როდესაც საკითხის გადასაჭრელად საჭიროა პალატის საბჭოს სრული შემადგენლობის ხმების 3/4. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია პალატის საბჭოს თავმჯდომარის ხმა.
8. საბჭოს სხდომისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს პალატის საბჭოს თავმჯდომარე.

მუხლი 10. პალატის საბჭოს კომპეტენცია

პალატის საბჭო:

- განიხილავს და ამტკიცებს წლიური საქმიანობის გეგმას, პროექტებსა და ანგარიშებს;
- განიხილავს ეკონომიკური და სხვა საკითხების შესახებ კანონპროექტებს და გამოთქვამს თავის მოსაზრებებს ეკონომიკურ სფეროში ნორმატიული აქტების პროექტების შესახებ.
- ამტკიცებს საწევროს ოდენობას და მომსახურების საფასურს.
- წყვეტს პალატის მიერ კრედიტის (სესხის) აღებისა და გაცემის საკითხს.

- იწვევს პალატის მორიგ და რიგგარეშე კრებებს;
- განიხილავს და ამტკიცებს პალატის ბიუჯეტს;
- იღებს გადაწყვეტილებას პალატის საბჭოს ახალი წევრის მიღებაზე.
- საერთო კრებას ასარჩევად წარუდგენს პალატის თავმჯდომარის კანდიდატურას.
- წარმოადგენს ადგილობრივ მეწარმეთა ინტერესებს საერთაშორისო და უცხო ქვეყნების ორგანიზაციებში პალატის სახელით და ირებს გადაწყვეტილებას ასეთ ორგანიზაციებში პალატის თანამშრომლობასა და გაწევრიანებაზე.
- ახორციელებს კონტროლს პალატის საერთო კრების გადაწყვეტილების შესრულებაზე;
- იღებს გადაწყვეტილებას პალატის მიერ კერძო სამართლის სუბიექტების დაფუძნების საკითხებზე.
- კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს კონტროლს პალატის მიერ დაფუძნებული ან მისი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობაზე;
- პალატის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების გადასაწყვეტად კმნის სპეციალურ დროებით კომისიებს, რომელთა შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ, როგორც პალატის წევრები, ასევე სხვა პირები (ექსპერტები, სპეციალისტები);
- ასრულებს ამ წესდებითა და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.
- უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება დატვირთვა, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ;
- პროექტებში მონაწილეობა, რომელიც დაკავშირებულია ფულადი სახსრების ხარჯვასთან;
- მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით სხვა სახის სავაჭრო-სამრეწველო პალატების (ერთობლივად დაფუძნებული, სპეციალური დარგობრივი) შექმნა, რომელთა უფლებამოსილება და საქმიანობის სფერო განისაზღვრება მათი დაფუძნების აქტით.

მუხლი 11. პალატის თავმჯდომარე

1. პალატის უმაღლესი თანამდებობის პირია პალატის თავმჯდომარე, როელსაც ირჩევს პალატის საერთო კრება პალატის საბჭოს წარდგინებით 4 (ოთხი წლის ვადით, ღია, პირდაპირი კენჭისყრით, დამსწრე წევრების ხმათა უმრავლესობით).
2. პალატის თავმჯდომარე იმავდროულად არის პალატის საბჭოს თავმჯდომარე.
3. პალატის თავმჯდომარე წარმოადგენს პალატას მესამე პირებთან ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო ურთიერთობებში.
4. პალატის თავმჯდომარის არყოფნისას მის ფუნქციებს ასრულებს მისი მოადგილე თავმჯდომარის მიერ მათთვის განსაზღვრულ უფლებამოსილებათა ფარგლებში.
5. პალატის თავმჯდომარეს უფლება აქვს საკუთარ უფლებამოსილებათა ნაწილი დელეგირების საფუძველზე გადასცეს აღმასრულებელ დირექტორს.
6. თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მის მოადგილეებს, აღმასრულებელ დირექტორს, მენეჯმენტის გუნდის თანამდებობის პირებს და პალატის თანამშრომლებს.
7. იღებს გადაწყვეტილებას პალატის წევრად მიღების საკითხს.

8. ახორციელებს უძრავი ქონების შეძენას, გასხვისებას და დატვირთვას, როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ.
9. პალატის თავმჯდომარე თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს.
10. პალატის თავმჯდომარე;
 - ა) განაგებს პალატის ფინანსებს;
 - ბ) განსაზღვრავს პალატის აპარატის საშტატო განრიგს;
 - გ) ნიშნავს და ათავისუფლებს პალატის აპარატის თანამშრომლებს.
 - დ) პალატის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების დანიშვნას და შემდგომ ზედამხედველობას.

მუხლი 12. პალატის თავმჯდომარის მოადგილეები

1. პალატის თავმჯდომარეს ჰყავს მოადგილეები, მათ შორის ერთი პირველი მოადგილე.
2. პალატის თავმჯდომარის მოადგილეებს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს პალატის თავმჯდომარე, მის მიერ განსაზღვრულ სფეროებში საქმიანობის წარმართვის მიზნით.

მუხლი 13. პალატის აღმასრულებელი დირექტორი

1. პალატის აღმასრულებელი დირექტორი წარმართავს პალატის მიმდინარე საქმიანობას.
2. აღმასრულებელი დირექტორი პალატის საქმიანობას წარმართავს საერთო კრების და პალატის საბჭოს, პალატის თავმჯდომარის ბრძანების და მითითებების საფუძველზე.
3. აღმასრულებელი დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს პალატის თავმჯდომარე.

მუხლი 14. პალატის საქმიანობის სახელმწიფო კონტროლი

პალატის საქმიანობის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა.

თავი IV. პალატის ფინანსები და ბიუჯეტი

მუხლი 15. პალატის ფინანსები

პალატის ფინანსები შედგება:

- ა) საწევრო შენატანებისაგან;
- ბ) ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან მიღებული შემოწირულობისაგან
- გ) კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლებისაგან.

მუხლი 16. პალატის ყოველწლიური ბიუჯეტი

1. პალატის შემოსავლები და გასავლები აისახება ყოველწლიურ ბიუჯეტში.
2. ყოველწლიური ბიუჯეტის პროექტს ამზადებს პალატის აღმასრულებელი დირექტორი და წარუდგენს პალატის თავმჯდომარეს.

მუხლი 17. ყოველწლიური ბიუჯეტის შედგენის კრიტერიუმები

1. პალატის ბიუჯეტი შედგება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან დაფინანსებისა და პალატის შემოსავლებისგან.
2. პალატის ბიუჯეტის ხარჯვის მიზანია მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული პალატის ამოცანების შესრულება და პალატის აპარატის მუშაობის უზრუნველყოფა.

მუხლი 18. სავალდებულო ხარჯები

1. პალატის ყოველწლიური ბიუჯეტით სავალდებულოა შემდეგი ხარჯების დაფინანსება:
 - ა) პალატის ოფისისა და აპარატის ხარჯები:
 - საკომუნიკაციო
 - სამეურნეო
 - კომუნალური
 - პალატის შტატში დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურება და წახალისება
 - ბ) პერიოდული და ერთჯერადი გამოცემის ხარჯები
 - გ) სამივლინებო და წარმომადგენლობითი ხარჯები
 - დ) პალატის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის სუბიექტების ხარჯები
2. საბიუჯეტო წლის განმავლობაში, პალატის საბჭოს დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე, პალატის მიზნების განსახორციელებლად დასაშვებია სხვადასხვა მუხლის თანხების განაწილება.
3. პალატის საბჭოს თანხმობით, პალატის თავმჯდომარეს უფლება აქვს დააფინანსოს პალატის მიზნების განსახორციელებლად საჭირო სხვა ხარჯები.

მუხლი 19. ბიუჯეტის დამტკიცება

ბიუჯეტს ამტკიცებს პალატის საბჭო არაუგვიანეს ახალი საბიუჯეტო წლის პირველ მარტამდე.

მუხლი 20. ბიუჯეტის ანგარიში და წლიური ბალანსი

1. პალატის აღმასრულებელი დირექტორი პალატის საბჭოს და პალატის თავმჯდომარეს წარუდგენს ყოველი წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს.
2. ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიში პალატის საბჭოს წევრებს უნდა გადაეგზავნოს პალატის საბჭოს სხდომამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე.
3. პალატაში საბუღალტრო წარმოება და ბალანსის შედგენა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 21. პასუხისმგებლობა ბიუჯეტის ხარჯვაზე

პალატის თავმჯდომარე და აღმასრულებელი დირექტორი პასუხს აგებენ პალატის თანხების არადანიშნულებისამებრ ხარჯვაზე.

თავი V. სახელმწიფო კონტროლი

მუხლი 22. სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესი

1. პალატის საქმიანობის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა.
2. პალატის საბჭო ვალდებულია არაუგვიანეს ყოველი წლის აპრილის თვის პირველ კვირისა აჭარის არ მთავრობას წარუდგინოს თავისის საქმიანობის წლიური ანგარიში და მიაწოდოს მოსაზრებები პალატის საქმიანობის გაუმჯობესების შესახებ.

თავი VI. პალატის საქმიანობის შეწყვეტა

მუხლი 23. პალატის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. პალატის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია შეიძლება განხორციელდეს „საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის და „აჭარის არ სავაჭრო სამრეწველო პალატის შესახებ“ აჭარის არ კანონის ძალადაკარგულად ცნობის ან მათში შესაბამისი ცვლილებების შეტანის შემთხვევაში და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. პალატის რეორგანიზაციის და ლიკვიდაციის შესახებ, ნორმატიული აქტით განისაზღვრება პალატის დარჩენილი ქონების განაწილების წესი.

თავი VII. დასკვნითი დებულებები

მუხლი 24. წესდებაზე ხელმოწერა

1. პალატის წესდებას ხელს აწერს საერთო კრების თავჯდომარე და მდივანი, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან კრების მიერ მიღებული წესდებისა და ხელმოწერილი წესდების ტექსტების იდენტურობაზე.
2. წინამდებარე წესდება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ექვს ეგზემპლარად.

მუხლი 24. წესდების ძალაში შესვლა

1. წინამდებარე წესდება ძალაშია 2012 წლის 06 ნოემბრიდან
2. წინამდებარე წესდება ძალაში შესვლისთანავე ძალას კარგავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის 2006 წლის 25 მარტის პალატის საერთო კრებაზე დამტკიცებული წესდება.

კრების თავმჯდომარე:

ჯუმბერ ტულუში (პირადი № 61002001455)

კრების მდივანი:

ინგა ჟორჟოლიანი (პირადი № 61001023375)